შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის

მშობელთა კომიტეტის დებულება

განხილული პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 01

08.09 2021 წ.

დამტკიცებულია

სკოლის დირექტორის მიერ

ბრძ. N 01-03/04

10.09 2021 წ.

ბათუმი

1. ზოგადი ნაწილი

1.1. მშობელთა კომიტეტი წარმოადგენს შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის მოსწავლეთა მშობელი ან/და კანონიერი წარმიმადგენლების გაერთიანებას.

1.2. სკოლის მშობელთა კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით

"ზოგადი განათლების შესახებ", პედაგოგიური საბჭოს, დირექტორისა და კლასის კოორდინატორის (აღზმრდელის) რეკომენდაციებით და მშობელთა კრებების გადაწყვეტილებებით,.

2. ტერმინთა განმართება

2.1 ამ დებულების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მშობელი --ბავშვის დედა ან/და მამა;

ბ) კანონიერი წარმომადგენელი -- მოსწავლის მშობელი ან/და სხვა კანონიერი წარმომადგენელი, ასევე მათ მიერ უფლებამოსილი შესაბამისი პირი;

გ) ოჯახი – საზოგადოების ძირითადი ჯგუფი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, მზრუნველისგან ან/და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისგან

დ) თავისუფალი დრო – სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო;

ე) არასასკოლო დრო -- სასწავლო პროცესის შემდეგ არსებული დრო, რომელიც მოსწავლეს შეუძლია თავისი /კანონიერი წარმომადგენლის შეხედულებისამებრ შეუძლია გამოიყენოს;

3. მშობელთა კომიტეტის მიზნები და ამოცანები

3.1 მშობელთა კომიტეტის მიზანია:

ა) სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა როგორც სასკოლო, ისე, არასასკოლო გარემოში;

ბ) სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობით სკოლის განვითარება-გაძლიერების ხელშეწყობა;

3.2 მშობელთა კომიტეტის ამოცანებია:

3.2.1 სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების კავშირი განმტკიცება მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მისაღწევად;

3.2.2 თანამშრომლობის დამყარება პედაგოგიურ კოლექტივთან და დირექციასთან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სკოლის მიერ გაცხადებული მიზნების მისაღწევად;

3.2.3 სკოლისთვის დახმარების გაწევა :

ა) მოსწავლეთა თავისუფალი დროის ორგანიზებაში;

ბ) მოსწავლეთა გართობა-დასვენების პროგრამების რეალიზებაში;

გ) სპორტული ღონისძიებების დაგეგმა-ორგანიზებაში;

დ) საკლუბო, წრეობრივი მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნაში;

ე) საინფორმაციო-საგანმანათლებლო ექსკურსიების ორგანიზება-განხორციელებაში;

ვ) დისტანციური სწავლების დროს მოსწავლეთა ჩართულობაზე მონიტორინგის გაწევა;

3.2.4 ხელშეწყობა სკოლაზე გრანტების მოპოვებაში

3.2.5 ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებთან ურთიერთობაში დახმარების გაწევა;.

3.2.6 ბავშვთა აღზრდაზე მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებასა და მათ საკოლო ცხოვრებაში ჩაბმაზე ხელის შეუწყობა ,

3.2.7 მონაწილეობის მიღება სკოლაში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნაში.

3.2.8 სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად მოსწავლე --მასწავლებელთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

4. მშობელთა კომიტეტის უფლება-მოვალეობა

4.1. მშობელთა კომიტეტის წევრს უფლება აქვს კომიტეტსა და პედაგოგიურ საბჭოში განსახილველად შეიტანოს იმ რიგის საკითხები,რომლებიც დაკავშირებულია სკოლის მუშაობის გაუმჯობესებასთან. მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე და სკოლის დირექტორი ვალდებულნი არიან განიხილონ ეს საკითხები კომიტეტის და პედაგოგიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

4.2. მშობელთა კომიტეტის გადაწყვეტილებანი შესასრულებლად სავალდებულოა კომიტეტის ყველა წევრისთვის და ისინი დროულად და ზუსტად უნდა იქნეს შესრულებული.

5. მშობელთა კომიტეტის შემადგენლობა და არჩევის წესი

5.1. მშობელთა კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება საბაზო და საშუალო საფეხურიდან არჩეული 9 წევრით (3-3 წევრი თითოეული საფეხურიდან);

5.2 მშობელთა კომიტეტის წევრები აირჩევა ერთი წლის ვადით ყოველი სასწავლო წლის არაუგვიანეს 10 ოქტომბრისა;

5.3 თითოეული საფეხურიდან მშობლები კომიტეტში წევრებად აირჩევიან საფეხურის მშობელთ ა კრებაზე ღია კენჭისყრით ;

5.4 მშობელთა კომიტეტი არჩევიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის ვადაში თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს;

5.5 მშობელთა კომიტეტის სხდომის მოიწვევა ხდება წელიწადში არაუმცირეს ორჯერ;

5.6 მშობელთა კომიტეტზე გადაწყვეტილებები მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით;

5.7 მშობელტა კომიტეტის სხდომის მუშაობა აისახება ოქმებში;

5.8 მშობელთა კომიტეტი მუშაობას ახორციელებს წლის ვადით გაწერილი გეგმის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი;

5.9 მშობელთა კომიტეტი თავისი შემადგენლობიდან აკადემიური წლის ვადით ირჩევს დისციპლინური საბჭოს ერთ წევრს.

6. მშობელთა კომიტეტის ანგარიშგება და საქმისწარმოება

6.1. მშობელთა კომიტეტი ვალდებულია შესრულებულ სამუშაოზე აკადემიური წლის ბოლოს წარდგება მშობელთა საერთო წინაშე.

6.2. მშობელთა კომიტეტი აწარმოებს სხდომებისა ჟურნალს / ოქმებს.

6.3. მშობელთა კომიტეტის საერთო კრებების ოქმების წიგნი ინახება სკოლის ადმინისტრაციაში საქმეთა მმართველთან.

6.4. ყველა სახის საქმიანი მიწერ-მოწერა, რომლებიც მშობელთა კომიტეტის კომპენტენციაში შედის, წარმოებს სკოლის სახელით სკოლის დირექტორისა და მშობელთა კომიტეტის თავჯდომარის ხელმოწერით.

7. ცვლილებები და დამატებები

შპს სკოლა-ლიცეუმი მასტერკლასის მშობელთა კომიტეტის დებულებაში ცვლილებები დამატებები ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ.